PDF Eraser Free

დანართი №2

სსიპ კოლეჯი „მოდუსი"

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ალინა კუპრავა
წევრები:
ვანო ოთხოზორია

(ქ. რუსთავი, 2020 წელი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი ,,მოდუსი''

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: სსიპ

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 08 ივლისის N 580747 ბრძანების შესაბამისად, სსიპ კოლეჯ "მოდუსში" პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" პროგრამის დამატების მიზნით ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შედგა დღის წესრიგი.

დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ადმინისტრაციასთან გასაუბრება;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- საგანმანთლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან გასაუბრება;
- სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან გასაუბრება;
- საგანამანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება;
- პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- ბიბლიოთეკის და საგანამანათლებლო რესურსის შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება;
- გასაუბრება პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან;
- დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შეჯამება/შეჯერება ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის/ძირითადი მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ გამოვლენილა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

PDF Eraser Free

1. სასურველია, საგანმანათლებლო დაწესებულებასა და კომპანიებს შორის გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებში გაიწეროს კომპანიაში პრაქტიკაზე მისაღები პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობრივი მაჩვენებელი-გათვალისწინებულია;
2. სასურველია, პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, საგანმანათლებლო დაწესებულებამ დამატებით აიყვანოს პროფესიული მოდულების განმახორციელებელი დარგის სპეციალისტები -გათვალისწინებულია, დაწყებულია პროცესი;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაციის“ საერთო პროფესიულ მოდულში „კომპანიის მოთხოვნები და საინფორმაციო ბაზები“, სასწავლო რესურსად მითითებულია მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა. სასურველია მოდულის განმახორციელებელმა პირმა ქართულ ენაზე მოამზადოს ჰენდაუთები ან დაამატონ ქართულენოვანი ლიტერატურა - გათვალისწინებულია, დაწესებულებამ დაამატა ნოდულში ქართულენოვანი ლიტერატურა, ასევე სწავლის შედეგით გათვალისწინებული თემატიკა ითარგმნა და ბიბლიოთეკაშია წარმოდგენილი ჰენდაუთად;
4. სასურველია საგანმანათლებლო დაწესებულებამ საჯარო რეესტრში დაარეგისტრიროს ახალი საკადასტრო აზომვისა და შიგა აზომვითი ნახაზების შესაბამისი ფართი - გათვალისწინებულია, დაწყებულია პროცესი;
5. სასურველია ბიბლიოთეკაში არსებობდეს პროგრამაში მითითებული ლიტერატურის ბეჭდური ვერსიის რამდენიმე ეგზემპლიარი-გათვალისწინებულია, დაწესებულებას გარდა ბეჭდურისა აქვს ელექტრონული ლიტერატურა ჩატვირთული კომპიუტერებში და ხელმისაწვდომია პროფესიულ სტუდენტთათვის;

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

VII. რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი 2

კომპონენტი 2.2.1.

კრიტერიუმი 1. რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით: პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული/დარგობრივი მოდულებით განსაზღვრული რესურსი(გარდა კომპიუტერული ტექნიკისა) შესყიდულ იქნას და განთავსდეს დაწესებულების ბაზაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კრიტერიუმი 3. რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით: ინტეგრირებული მოდულების პროფესიულმა განათლების მასწავლებლებმა, რომ შეძლონ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავება და შეფასების კომპეტენციის განვითარება საჭიროა გადამზადდნენ მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში;

კომპონენტი 2.4.2.

კრიტერიუმი 3. რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით: დაწესებულებამ გაწეროს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვის წესი, რომლის მიხედვითაც განახორციელებს მათ აღრიცხვას.

რეკომენდაცია გაუმჯობესების მიზნით

კომპონენტი 2.1.1

კრიტერიუმი 8. რეკომენდაცია მოდულის განხორციელების მიდგომებთან მიმართებაში: „გაცნობითი პრაქტიკა“ და „პრაქტიკული პროექტი“ მოდულების განხორციელების მიდგომებში გაიწეროს სწავლის შედეგების მიღწევა ან ცალკეული აქტივობები, ხორციელდება პრაქტიკის ობიექტებზე თუ მხოლოდ დაწესებულების სასწავლო გარემოში.

კომპონენტი 2.2.1.

კრიტერიუმი 1. რეკომენდირებულია დაწესებულების მფლობელობაში არსებული კომპიუტერული ტექნიკის აპარატურული მახასიათებლები, ძირითადი დარგობრივი პროფესიული მოდულების ეფექტური განხორციელებისთვის უმჯობესია განახლდეს. კერძოდ, ოპერატიული მეხსიერების მოცულობა არსებული 4 გიგაბაიტი გაიზარდოს 8 გიგაბაიტამდე, ხოლო ცენტრალური პროცესორი პარამეტრებით - 2 ფიზიკური ბირთვი და 4 ვირტუალური ბირთვი (ნაკადი), შეიცვალოს მინიმუმ 4 ფიზიკური ბირთვის პარამეტრების ცენტრალური პროცესორით.

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	N68, 11.06.2020.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. რუსთავი, შარტავას გამზირი N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30 ქ. რუსთავი, შარტავას გამზირი N4 მოდულური
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	**148**
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	**90**
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	**178**
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	**120**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	■	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პდს-ს გადაწყვეტილება მიღებულია ქვემო ქართლის რეგიონის საჭიროებების შესაბამისად, რაც ასახულია განაცხადის თანდართულ დოკუმენტში: „პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება“ გადაწყვეტილება, ასევე შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას; სსიპ კოლეჯი „მოდუსი“-ს მისიაა დაძლიოს გამოწვევები, გახდეს ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკური განვითარების აქტიური მონაწილე და ლიდერი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც დაიმკვიდრებს რეგიონში წამყვან პოზიციას პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობით და ხარისსიანი განათლების მიწოდებით. კოლეჯი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლისთვისაც პრიორიტეტულია ინოვაციური მეთოდების დანერგვა სწავლებაში, გამოყენებადი ცოდნა-უნარების მიწოდება პროფესიული განათლების მსურველთათვის და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი, კვალიფიციური კადრების მომზადება, როგორც გრძელვადიანი ისე მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით. კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა და პერსონალის თანამშრომლობით შექმნილია პროფესიული სწავლებისათვის ერთიანი სივრცე, რომელიც ხელს უწყობს პროფესიული განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას. პროგრამის დამატების გადაწყვეტილება შესაბამისობაშია სტრატეგიული განვითარების გეგმის მეორე სტრატეგიული მიზნის 2.2 ამოცანასთან. „ზოგადი მოდულებით ინტეგრირებული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება/ განხორციელება“.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს **სრულ ზოგადი განათლებას,** ხოლო **საბაზო განათლებას** - იმ სასწავლო გეგმაზე, სადაც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. კოლეჯს შემუშავებული აქვს სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელის საფუძველზე განსაზღვრა კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, პროგრამაზე მოთხოვნილია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 30, მათ შორის ინტეგრირებულ პროგრამაზე 30;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4. კომპიუტერული ქსელი და სისტემები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კომპიუტერული ქსელი და სისტემები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს;

6. კოლეჯი „მოდუსის“ წესდებით და „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“ პროგრამების დამტკიცებაზე უფლებამოსილ პირად განსაზღრულია კოლეჯის დირექტორი. შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ დირექტორის N68 ბრძანებით.

7. პროგრამის სახელწოდება „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 იანვარი N 80/ი ბრძანებითი (ცვლილება - 25/09/2019 წლის N 882/ი ბრძანება) დამტკიცებული ჩარჩო დოკუმენტით “ინფორმაციის ტექნოლოგიის“, საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კონცენტრაციის სახელწოდებასთან „კომპიუტერულ ქსელი და სისტემები“ და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამრთლებრივი საფუძველია ჩარჩო დოკუმენტი „ინფორმაციის ტექნოლოგია“ (სარეგისტრაციო ნომერი - 06112 სსიპ კოლეჯი ,,მოდუსის'' დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა და პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები და სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ, ინტეგრირებული სწავლებისთვის შემუშავებული სასწავლო გეგმა არის სამ წელზე გაწერილი. ექსპერტების მხრიდან შემდგომი განვითარების მიზნით გაიცა რეკომენდაცია მოდულის განხორციელების მიდგომებთან მიმართებაში: „გაცნობითი პრაქტიკა“ და „პრაქტიკული პროექტი“ მოდულების განხორციელების მიდგომებში გაიწეროს სწავლის შედეგების მიღწევა ან ცალკეული აქტივობები, ხორციელდება პრაქტიკის ობიექტებზე თუ მხოლოდ დაწესებულების სასწავლო გარემოში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯ მოდუსის მისიით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სსიპ კოლეჯ მოდუსის სასწავლო პროცესის რეგულირების წესით;
- სსიპ კოლეჯ მოდუსის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმით და სამოქმედო გეგმით;
- პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობით;
- სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტით;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიით ;
- ზოგადი ინტეგრირებული მოდულებით კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანებით N68, 11.06.2020.
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

- [x] შეესაბამება
- [ ] მეტწილად შეესაბამება
- [ ] ნაწილობრივ შეესაბამება
- [ ] არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამით განსაზღვრული პროფესიულ მოდულებში განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (A/B და A გარემო) ვიზუალური დათვალიერებით შეფასდა დადებითად, სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული კომპიუტერული ტექნიკის მონაცემები შეესაბამება სწავლის შედეგის მისაღწევად გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს, თუმცა შემდგომი გაუმჯობესების მიზნით რეკომენდირებულია დაწესებულების მფლობელობაში არსებული კომპიუტერული ტექნიკის აპარატურული მახასიათებლები, ძირითადი დარგობრივი პროფესიული მოდულების ეფექტური განხორციელებისთვის უმჯობესია განახლდეს. კერძოდ, ოპერატიული მეხსიერების მოცულობა არსებული 4 გიგაბაიტი გაიზარდოს 8 გიგაბაიტამდე, ხოლო ცენტრალური პროცესორი პარამეტრებით - 2 ფიზიკური ბირთვი და 4 ვირტუალური ბირთვი (ნაკადი), შეიცვალოს მინიმუმ 4 ფიზიკური ბირთვის პარამეტრების ცენტრალური პროცესორით. პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სპეციალური აღჭურვილობის და ინტეგრირებული მოდულების შეძენისთვის წარმოდგენილი იქნა შესაბამისი შესყიდვის ხელშეკრულებები(ხელშეკრულებები გაფორმებულია ივლისის დასაწყისში და რესურსების მიღება-ჩაბარებით გადმოცემა კოლეჯისათვის უნდა განხორციელდეს 20-25 სამუშაო დღის ვადაში), ასევე შუამდგომლობები საქართველოს მთავრობის და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სახელზე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული რესურსების/აღჭურვილობის შესყიდვაზე თანხმობის შესახებ. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით, გეგმის თანახმად პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსის დაწესებულებაში მობილიზება განხორციელდება 2020 წლის 30 სექტემბრამდე, აღნიშნულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირია დირექტორის მოადგილე ეკონომიკურ დარგში და შესყიდვების მენეჯერი. რეკომენდირებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს გეგმის შესაბამისად დადგენილ ვადებში რესურსების მობილიზება დაწესებულების ბაზაზე.

2. კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროგრამაზე პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას გაითვალისწინებულია, რომ ის გარდა საკონტაქტო საათებისა მონაწილეობს სხვა სამუშაოების შესრულებაშიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

(მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში და ზოგჯერ - გარკვეული ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებაც, მაგ: პროგრამის ხელმძღვანელობა). ამიტომაც მათი საკონტაქტო საათების დატვირთვა ერთი პროგრამის მიზნებისათვის არის სასწავლო გეგმის მიხედვით 2 ცვლიანი სწავლების პირობებში კვირაში 30-32 საათი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი, ინტეგრირებულის შემთხვევაში წინარე ხელშეკრულებები გაფორმებულია 20 პროფესიული მასწავლებელთან. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ დარგის და ზოგადი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება მასწავლებლის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით და მასწავლებელთა პირადი საქმეებით. პროგრამის ინტეგრირებული მოდულების პროფესიულ მასწავლებლები შერჩეული არიან კონკურსის წესით. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურებით დგინდება, რომ ინტეგრირებული მოდულზე შერჩეული მასწავლებლები გაივლიან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაგეგმილ ტრენინგებს და შემდეგ მოხდება მათთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება. ინტეგრირებული მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებით დასტურდება, რომ მათ აქვთ ინფორმაცია პროფესიული განათლების და ინტეგრირებული მოდულების შესახებ, თუმცა პროფესიული განათლების და ინტეგრირებული მოდულების სპეციფიკის გათვალისწინებით პროფესიულმა განათლების მასწავლებლებმა, რომ შეძლონ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავება და შეფასების კომპეტენციის განვითარება საჭიროა გადამზადდნენ მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში;

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული ხელმძღვანელი, რომელიც 2007 წლიდან არის CISCO-ს აკადემიის ინსტრუქტორი და წლების განმავლობაში პრაქტიკულ საქმიანობას ეწევა ინფორმაციის ტექნოლოგიის სწავლების მიმართულებით, პროგრამის ხელმძღვანელი განისაზღვრება დამტკიცებასთან ერთად.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში ძირითადად ელექტონული სახით ელ. დისკებზე, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და მატერიალური სახით ამონაბეჭდი გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკაში არის სამუშაო სივრცე აღჭურვილი კომპიუტერებით, რომელშიც ჩატვირთულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კოლეჯის საკუთრებაში არსებული საგანმანათლებლო რესურსის კატალოგი. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი განთავსებულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სსსმ პირთა ასისტენტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ - ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა, ხოლო სსსმ პირთა ასისტენტის ფუნქციაა უზრუნველყოს სტუდენტის სამუშაო და სასწავლო მასალის ადაპტირება, რაც რეალურად დანერგილი პრაქტიკაა კოლეჯში.

7.სახელმწიფო ბიუჯეტით უზრუნველყოფილია კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროგრამის ბიუჯეტი შესაძლებლობას აძლევს დაწესებულებას გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა, ჯგუფში სტუდენტების რენტაბელური რაოდენობა და სხვა. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს ადმინისტრირების ხარჯს, პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, მასალა-ნედლეულის ხარჯებს, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლებს. მიხედვით სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, განსაზღვრულია 13 პროფესიული სტუდენტით და დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა რენტაბელობის ზღვარს აღემატება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროგრამის განხორციელების ადგილზე ინვენტარის და აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- განმახორციელბლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები/სერთიფიკატებით;
- გაუმჯობესების გეგმით-დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით N 70, 11.06.2020;
- კონკურსის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი ელექტრონული სახით, დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის და სსსმ პირთა ასისტენტის სამუშაო აღწერილობები.
- პროგრამის ბიუჯეტით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 2019 წლის 24 მაისს N0125 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“ და „სწავლების ხარისხის შეფასების წესი და პროცედურები“, რომელიც ექვემდებარება სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას -„დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე და განავითარე. კოლეჯის სასწავლო პროცესის რეგულირების წესში, მეორე მუხლში, გაწერილია ყველა ტიპის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურები. რომელიც ითვალისწინებს პროგრამის შერჩევისა და განხორციელების პროცედურებს. პროგრამის შეფასების მექანიზმი ასევე ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. სწავლების ხარისხის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო პროცესში ჩართული პირების (მასწავლებელი - სტუდენტის)კმაყოფილების კვლევას, რომელთა განსახორციელებლად გამოიყენება ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავებული გამოკითხვის ფორმები; ამ მიზნით შემუშავებულია შემდეგი ფორმები: პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კურსდამთავრებულების გამოკითხვასასწავლო პროცესის შემოწმება დაგეგმილია ორი ძირითადი მიმართულებით: მიმდინარე სასწავლო პროცესზე დაკვირვებით/მონიტორინგით და სასწავლო პროცესში ჩართული პირების (მასწავლებელი - სტუდენტის)კმაყოფილების კვლევით. სასწავლო პროცესზე დაკვირვება/მონიტორინგი გულისხმობს კოლეჯში შიდა და გარე მონიტორინგის მექანიზმების მუშაობას. შიდა მონიტორინგის ჯგუფი იქმნება დირექტორის ბრძანებით. შედგება მუდმივი და არამუდმივი წევრებისგან. არამუდმივი წევრი შეიძლება იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი და/ან დარგის სპეციალისტი; საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი და/ ან დირექტორის ინდივიდუალური ბრძანებით განსაზღვრული პირი - სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტი; საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება გაკვეთილებზე პერიოდული დასწრებით მოდულის მიმდინარეობის პროცესში წინასწარ განსაზღვრული და გასაჯაროებული გეგმა - გრაფიკის შესაბამისად, ხოლო მოდულების სწავლის შედეგის შემთხვევაში ყოველ მიმდინარე შედეგზე; საგაკვეთილო პროცესზე დასწრების დროს შიდა მონიტორინგის ჯგუფის წევრი ავსებს საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარს, სადაც განსაზღვრულია საკონტაქტო საათის მახასიათებლები და ხდება სწავლის მიზნებთან შესაბამისობის დადგენა. მონიტორინგის შედეგად ფასდება სტუდენტთა ინდივიდუალური პორტფოლიოები, მიმდინარე და დასრულებული მოდულების სწავლის შედეგების დამადასტურებელი მტკიცებულებები. სწავლის შედეგზე დასწრების დროს მოწმდება შეფასების ინსტრუმენტების რელევანტურობა (შეესაბამება თუ არა ხარისხის მართვის მენეჯერთან წინასწარ შეთანხმებულ ინსტრუმენტს) და ფასდება შეფასების პროცესი; შიდა მონიტორინგის მიერ მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად (ანალიზი განიხილება შიდა მონიტორინგის ფოკუს ჯგუფში) გაიცემა რეკომენდაციები სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის აანალიზებს შეფასების შედეგებს, გამოკითხვების და სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგების საფუძველზე შიდა მონიტორინგის ჯგუფი წარმოადგენს ერთიანი ანალიზის დოკუმენტს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროცესის მიმდინარეობის და გამოვნელილი ხარვეზების შესახებ, რის საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, კერძოდ დაწესებულებას გაწერილი აქვს პროგრამაში ცვლილების განხორციელების პროცედურა, შედეგებისანალიზი იძლევა საშუალებას საჭირებების გათვალისწინებით გაუმჯობესდეს საგანმანათლებლო პროგრამა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯი მოდუსის „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებით“ - დამტკიცებული დირექტორის ბრძ. N125, 24.05.2019 (ცვლილება);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

- სსიპ კოლეჯი მოდუსის სასწავლო პროცესის რეგულირების წესით;
- სსიპ კოლეჯ მოდუსში -„სწავლების ხარისხის შეფასების წესი და პროცედურებით“, დამტკიცებული დირექტორის ბრძ. N125, 24.05.2019;
- სსიპ კოლეჯი მოდუსის „სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტის ანგარიშები“
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, სასწავლო გეგმა შედგენილია მოდულზე დაშვების წინაპირობების დაცვით, კვირეული დატვირთვა არ არის 40 სთ-ზე მაღალი, სასწავლო გეგმაში საათების განაწილების შესაბამისად შემუშავდება განრიგი - ცხრილი. პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს.

2. კოლეჯში სწავლა პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით დაიგეგმება ორ ცვლაში. სასწავლო გეგმით განისაზღვრება თითოეული პროგრამის ხანგრძლივობა და დასრულებისათვის მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელთაც პროფესიული სტუდენტი უნდა ფლობდეს პროგრამის დამთავრებისას. საჭიროების შემთხვევაში შშმ პირებისათვის უზრუნველყოფილია სასაწავლო გარემო, ასევე სასწავლო პროცესის რეგულირების წესში გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა მობილობის წესი, შესაბამისად, კოლეჯს აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები. 2019 წლიდან კოლეჯში შექმნილია და მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა კავშირი, რომელიც ასევე აქტიურად არის ჩართული პროფესიული სტუდენტების საჭიროებიბის გამოვლენაში.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამის მასწავლებლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგები, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, ასევე, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ. კოლეჯი უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებში პროფესიული განათლების მასწავლებელების ჩართულობას, რაც დასტურდება ცნობებით, სერტიფიკატებითა და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით;

4. პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. რაშიც ეხმარებათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“. საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის ხდება სასწავლო მოდულებისა და შედეგების ადაპტირება - იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;

5. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ძირითადად ხორციელდება კოლეჯის შესაბამის ლაბორატორიაში და პარტნიორ კომპანიაში, კერძოდ, შპს „ატომელექტონიქს“-ში, რომელთანაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, გასაუბრება განხორციელდა პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან, რომელმაც დაადასტურა მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე მზაობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. სასწავლო/სამუშაო გარემო აღჭურვილია მოთხოვნების შესაბამისად. ინტეგრირებული მოდულებისთვის გამოყოფილია ლაბორატორია, მეცადინეობები მიმდინარეობს უსაფრთხო გარემოში პროფესიის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კოლეჯში მოქმედებს „სსიპ კოლეჯი მოდუსის ტექნიკური უსაფრთხოების წესები“ და კოლჯს ჰყავს 4 სერთიფიცირებული უსაფრთხოების სპეციალისტი. რომელებიც უზრუნველყოფენ სტუდენტთა უსაფრთხოებას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯი მოდუსის პროგრამის სასწავლო გეგმით;
- სსიპ კოლეჯი მოდუსის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- პროფესიული სტუდენტური კავშირის დებულებით დამტკიცებული დირექტორის ბრძ. N90, 05/04/2019
- „სსიპ კოლეჯი მოდუსის ტექნიკური უსაფრთხოების წესებით“ დამტკიცებული დირექტორის ბრძ.N89, 05.04.2019.
- ურთირთთანამშრომლობის მემორანდუმით გაფორმებული შპს „ატომელექტონიქსთან“ (3/06/2019წ);
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური,კერძოდ პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი და მტკიცებულებების შენახვის პროცედურები გაწერილია სსიპ კოლეჯი მოდუსის სასწავლო პროცესის რეგულირების წესში, თავი VIII - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შეფასება შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალეობის, სამართლიანობის და ობიექტურობის ხარისხის ამაღლების მიზნით, კოლეჯში განახლდა შეფასების ინსტრუმენტისა და შეფასების უწყისების ფორმები, დაემატა შ/ი „შიდა ვერიფიკაციის“ ფორმა, რომლის მიხედვითაც ხდება ინსტრუმენტის მომზადება პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერდა შეფასება -შიდა ვერიფიკატორის მიერ, აღნიშნული ფორმების გამოყენება იგეგმება ახალი სასწავლო წლიდან. არსებული მდგომარეობით, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტი ახდენს ინსტრუმენტის შედარებას სასწავლო მოდულის ჩანაწერებთან და, შესაბამისად, ადგენს ინსტრუმენტის ვალიდურობას, ინსტრუმენტის ტექნიკური ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ინსტრუმენტი არის გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური (ინსტრმენტში მოცემულია შესრულების დრო, შეფასების პირობები).

2.შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს შიდა ვერიფიკატორი, რომელიც შესაძლოა იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, ან იმავე პროგრამის სხვა მოდულის მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა. შიდა ვერიფიკატორი პირველ ეტაპზე ადასტურებს „მოდულის შეფასების ინსტრუმენტში“ ასახული სწავლის შედეგების, მოცემული დავალების შესრულების კრიტერიუმებისა და დავალების შეფასების კრიტერიუმების, როგორც ერთმანეთთან თავსებადობა-შესაბამისობას, ასევე სწავლის შედეგების შესრულების მტკიცებულებების შესაბამისობას შერჩეულ შეფასების ინსტრუმენტთან. შიდა ვერიფიკაციის პირველ ეტაპზე ვერიფიკატორს პროფესიულ მასწავლებელთან უკუკავშირის საშუალებით საჭიროების შემთხვევაში შეაქვს შესაბამისი ცვლილება „მოდულის შეფასების ინსტრუმენტში“. მოდულის დასრულების შემდეგ არაუმეტეს ორ კვირაში სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტი ამოწმებს შეგროვებული მტკიცებულებების ავთენტურობას, კომპეტენციების დადასტურებისათვის საკმარისობას და აარქივებს მტკიცებულებებს შენახვის ვადით.

3.კოლეჯში შემუშავებულია/დამტკიცებულია შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვის წესი (სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, მუხლი 24.) შეფასების მტკიცებულებების შენახვის ვადად განსაზღვრულია 3 წელი შეფასების განხორციელებიდან, ხოლო შეფასების უწყისები იტვირთება e-flow-ს ელექტრონულ სისტემაში და ინახება უვადოდ. რეკომენდირებულია დაწესებულებამ გაწეროს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვის წესი, რომლის მიხედვითაც განახორციელებს მათ აღრიცხვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

4.სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ კოლეჯ მოდუსის სასწავლო პროცესის რეგულირების წესით.
- შეფასების ინსტრუმენტის და ვერიფიკაციის დამტკიცებული ფორმებით დამტკცებული დირექტორის ბრძ.N69, 11.06.2020.
- ხარისხის მართვის მენეჯერის და ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტის სამუშაო აღწერილობებით;
- გასაუბრების შედეგებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
22.07.2020 წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: